

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „DIALUX“

ს/კ: 445419930

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წ 31 დეკემბრისათვის

პერიოდი	31-12-22	31-12-21	31-12-20
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	342632	697320	218074
სავაჭრო მოთხოვნები	166160	227868	156895
გადახდილი ავანსები დადარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	1960408	1759368	1748075
- მზა პროდუქცია	1960408	1759368	1748075
სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	59298	14737	6195
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	248897	293668	119898

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	
სულ აქტივები	2777395	2992961	2249137

	31-12-2022	31-12-2021	31-12-2020
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	62000	38500	169900
სავაჭრო ვალდებულებები	439864	685434	662957
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	16365	26930
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
გამოუმუშავებელი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	701040	953717	610536
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	1914	2915	2347
სულ ვალდებულებები	1204818	1696931	1472670
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი)	0	0	0
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12572577	1296030	776467
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1572577	1296030	776467
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2777395	2992961	2249137
სულ მოკლევადიანი აქტივები	59298	14737	5835
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1914	2915	2347

2021-2022 წლებში მიღებული საქმიანობის შედეგები		
	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	6225450	5088771
- საქონლის გაყიდვიდან	5881710	5012767
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა	343740	76004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4053018	-3726718
- საწყისი მარაგები		
- მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები(გადატანილია ძირითად.საშუალებაში)		
- საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	2172432	1362053
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-500103	-380976
ცვეთა/ამორტიზაცია	-62078	-62688
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-43775	-34754
იჯარის ხარჯი	-127626	-110923
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-143539	-147886
სულ საოპერაციო ხარჯები	-877121	-737227
საოპერაციო მოგება	1295311	624826
გაუფასურების ხარჯი (რევერსირება)		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		

წმინდა შემოსულობა (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)	-185036	
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1110275	624826
მოგების გადასახადი		
მოგება/ზარალი	1110275	624826
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი)		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი) სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი(ზარალი)	1110275	624826
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1296030	776467
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალის გაზრდა)	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-829721	-105263
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-4007	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1572577	1296030

საქსტატი

AL

419
ORGIA

**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
განმარტებითი შენიშვნები**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „DIALUX“ ს / კ : 4 4 5 4 1 9 9 3 0 , შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 16. 01. 2013 წელს. საწარმოს იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.ბათუმი შავშეთის ქ. №24. ფირმის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე გოგი დიასამიძე(პ.ნ: 61002014491) 100% - იანი წილის მფლობელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საყოფაცხოვრებო სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტი და რეალიზაცია. საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საქართველოში საქონლის რეალიზაციით და ხარჯავს როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ საქონლის შესაძენად. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. და საქონლის შესაძენად იყენებს ასევე როგორც ქართულ ვალუტას ასევე აშშ დოლარს და ეუროს.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და ფარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	- 5 %
✓ მანქანა დანადგარები	- 20%
✓ საოფისე აღჭურვილობა	- 20%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	- 20%

✓ სხვა ძირითადი საშუალებები	- 15%
-----------------------------	-------

3.4. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.5. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.6. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.7. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:

გ.დიასამიძე

ბუღალტერი:

თ.ცეცხლაძე